ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #150

10 ივლისი 2012 წ.

კურორტ ბახმაროში, მეტეოსადგურის ქუჩაზე სააგარაკო
საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების და გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე თინათინ მიქიაშვილის განცხადება N719 (26.04.2012წ.), შეთანხმებული იქნას წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გადაეცეს კურორტ ბახმაროში, მეტეოსადგურის ქუჩაზე სააგარაკო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მისამართი: ჭავჭავაძის ქ. #4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*